პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 63 (10457) | ხუთშაბათი, 15 მარტი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

ბ ო ლ ე ს ლ ა ვ ბ ე რ უ ტ ი

მოსკოვი ეთხოვება ბოლესლავ ბერუტს

კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში

გარდაიცვალა ბოლესლავ ბერუტი — პოლონელი ხალხის დიდი შვილი. ამ ამბავმა მსოფლიოს ყველა ნაწილში მწუხარებით აღუვსო გული მილიონობით ადამიანს, რომლებიც იბრძვიან მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის დიადი საქმისათვის, რომელსაც ბოლესლავ ბერუტმა მოახმარა მთელი თავისი სიცოცხლე უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

...სამგლოვიაროდ არის მორთული კავშირების სახლის სვეტებიანი დარბაზი. შავი ბადე ფარავს ჭაღების ბროლს; ძაძა შემოვლებული აქვს კედლებთან დახრილ საბჭოთა კავშირის ალისფერ დროშას, 16 მოკავშირე რესპუბლიკის დროშებს, პოლონეთის სახელმწიფო ალმებს. ცოცხალ ყვავილებში კვარცხლბეკზე დგას წითელი კუბო, რომელშიც ასვენია თითქოს მძინარე ბერუტი. ხოლო პუშკინის ქუჩაზე კავშირების სახლისაკენ დაუსრულებელ ნაკადად მიემართება მოსკოველთა კოლონა, რომლებიც მიდიან, რათა უკანასკნელად გამოეთხოვონ განსვენებულს, ვისი ცხოვრებაც მარქსიზმ-ლენინიზმის უცვდავი იდეებისადმი სამსახურის ბრწყინვალე მაგალითია.

ადამიანები უნებლიეთ იხსენებენ ბერუტის უკანასკნელ მეზნებარე სიტყვას, რომელიც მან წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან. იგი მაშინ ამბობდა: „პოლონეთის მუშათა კლასის რევოლუციური ტრადიციები, მისი პოლიტიკური გაერთიანება, მთელი სოციალისტური ბანაკის ხალხთა მეგობრობა და დარაზმულობა, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მზარდი საბრძოლო აქტივობა, საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიული გმირობით აღფრთოვანებული ჩაგრული ხალხების განმათავისუფლებელი ბრძოლა განმტკიცებენ პოლონეთის მშრომელი მასების ნებას სოციალიზმის სრული გამარჯვებისათვის ბრძოლაში“.

დღის 3 საათზე იღება კავშირების სახლის კარი, და სვეტებიან დარბაზში მიედინება ადამიანთა ნაკადი. ბოლესლავ ბერუტთან გამოსათხოვებლად ერთ-ერთი პირველნი მოვიდნენ პოლონელი სტუდენტები, რომლებიც საბჭოთა დედაქალაქის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ. ოქროსფერი მიმოზის რტოსთან ერთად, რომელიც მათ მოწიწებით დადეს კუბოსთან, პოლონელმა ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა თან მოიტანეს სიყვარული მათთვის ძვირფასი ადამიანისადმი, მათი ბედნიერებისათვის, პოლონელი ხალხის ნათელი მომავლისათვის მებრძოლისადმი.

დამწუხრებული ადამიანები მდუმარედ მიდიან სვეტებიან დარბაზში, სადაც გაისმის შოპენის, ჩაიკოვსკის, ბეთჰოვენის სამგლოვიარო მელოდიები. აქ წარმოდგენილია მთელი მოსკოვი — ფაბრიკებისა და ქარხნების მუშები, მათი ოჯახის წევრები, საბჭოთა არმიის მეომრები და მეცნიერები, სტუდენტები და დაწესებულებათა მოსამსახურეები, რევოლუციურ ბრძოლებში გამოწრთობილი ძველი ბოლშევიკები და ახალგაზრდა კომკავშირელები.

ყოველ სამ წუთში იცვლება საპატიო ყარაული. ყარაულში დგანან საბჭოთა არმიის მეომრები — არმიისა, რომლის ჯარები იბრძოდნენ პოლონეთის ჯარის სახელოვან მეომრთა მხარდამხარ და გათავისუფლეს პოლონეთი ჰიტლერული ტირანიისაგან.

დარბაზში შემოაქვთ მრავალი გვირგვინი. კვარცხლბეკთან დებენ ცოცხალი ყვავილების გვირგვინს. მის ალისფერ აბრეშუმის ლენტზე ოქროს ასოებით წარწერილია: „პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ნაცად ხელმძღვანელს, ახალი პოლონეთისათვის გამოჩენილ მებრძოლს, საბჭოთა კავშირის ერთგულ მეგობარს, ამხანაგ ბოლესლავ ბერუტს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან“. შემოაქვთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის კომიტეტის, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საოლქო და საქალაქო საბჭოების აღმასკომების, საკავშირო პროფსაბჭოს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, პარტიის დედაქალაქის რაიკომებისა და რაიონული საბჭოების, საწარმოთა კოლექტივების, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საელჩოების გვირგვინები.

სამი საათი და 10 წუთია. საპატიო ყარაულში დგებიან ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, მ. ა. სუსლოვი, გ. კ. ჟუკოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, დ. ტ. შეპილოვი, ე. ა. ფურცევა, ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, პ. ნ. პოსპელოვი. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად ბოლესლავ ბერუტის კუბოსთან საპატიო ვახტზე დგანან ამხანაგები ი. ბერმანი, ი. ცირანკევიჩი, ფ. მაზური, ე. ოხაბი, ა. ზავადსკი და პოლონეთის დელეგაციის სხვა წევრები.

23 საათსა და 10 წუთზე კუბოსთან მისვლა წყდება. მოსკოვის ასი ათასზე მეტმა მშრომელმა გაიარა სვეტებიან დარბაზში და გამოეთხოვა პოლონელი ხალხის დიდ შვილს ბოლესლავ ბერუტს. (საკდესი).

მოსკოვის მშრომელები უკანასკნელად გამოეთხოვნენ ბოლესლავ ბერუტს

14 მარტს მოსკოვის მშრომელები უკანასკნელად გამოეთხოვნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ბოლესლავ ბერუტს.

გლოვობს საბჭოთა კავშირის დედაქალაქი. შენობებზე გამოფენილია წითელი ალმები, რომლებსაც შემოვლებული აქვთ შავი კრეპი. ძაძებშია კავშირების სახლის ფასადი, რომლის დარბაზში ასვენია პოლონელი ხალხის დიდი შვილის ცხედარი. წინადღით ამ დარბაზში, ეთხოვებოდა რა საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს ბოლესლავ ბერუტს, გაიარა დედაქალაქის ასი ათასზე მეტმა მშრომელმა.

სვეტებიან დარბაზში გაისმის შოპენის სამგლოვიარო მარშის მწუხარე მელოდია. დილის 10 საათზე საპატიო ყარაულში დგებიან ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, მ. ა. სუსლოვი, გ. კ. ჟუკოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, დ. ტ. შეპილოვი, ე. ა. ფურცევა, ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, პ. ნ. პოსპელოვი. ამ ამბავზე ადამიანები ეზიდებიან ოქროსფერ ლენტებზე ოქროს ასოებით წარწერილი: „პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ნაცად ხელმძღვანელს, ახალი პოლონეთისათვის გამოჩენილ მებრძოლს, საბჭოთა კავშირის ერთგულ მეგობარს, ამხანაგ ბოლესლავ ბერუტს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან“. ამ ამბავზე ადამიანები ეზიდებიან ოქროსფერ ლენტებზე ოქროს ასოებით წარწერილ ასობით ასეულ ვარდ-ყვავილებს. ... საბჭოს თავმჯდომარე ... ა. ა. ანდრეევი, ... სახალხო დეპუტატთა საბჭოს ... ელჩოთა თანამშრომლები.

სამგლოვიარო ცერემონიაში მონაწილეობის მისაღებად ვარშავიდან მოსკოვში ჩამოვიდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაცია. დელეგაციაში შედიან ი. ბერმანი, ი. ცირანკევიჩი, ფ. მაზური, ე. ოხაბი და ა. ზავადსკი.

პოლონეთის დელეგაციის წევრებმა გვირგვინებით შეამკეს კუბო. გვირგვინების ორფერ ლენტებზე არის წარწერები: „სახალხო პოლონეთის პირველ პრეზიდენტს. სახელმწიფო საბჭო“, „პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს. მთავრობისაგან“, „პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, ძვირფას ამხანაგ ტომაში“ (ტომაში ბოლესლავ ბერუტის პარტიული სახელია), „საყვარელ ამხანაგ ბერუტს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოსაგან“.

18 საათი და 05 წუთია. საპატიო ყარაულში კვლავ დგებიან ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, მ. ა. სუსლოვი, გ. კ. ჟუკოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, დ. ტ. შეპილოვი, ე. ა. ფურცევა, ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, პ. ნ. პოსპელოვი. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად ბოლესლავ ბერუტის კუბოსთან საპატიო ვახტზე დგანან ამხანაგები ი. ბერმანი, ი. ცირანკევიჩი, ფ. მაზური, ე. ოხაბი, ა. ზავადსკი და პოლონეთის დელეგაციის სხვა წევრები.

23 საათსა და 10 წუთზე კუბოსთან მისვლა წყდება. მოსკოვის ასი ათასზე მეტმა მშრომელმა გაიარა სვეტებიან დარბაზში და გამოეთხოვა პოლონელი ხალხის დიდ შვილს ბოლესლავ ბერუტს. (საკდესი).

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებები — მასებში!

უდიდესი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობაა ამ დღეებში მთელ ჩვენს ქვეყანაში. საბჭოთა ხალხის უმაგალითო პოლიტიკური აქტივობა და საწარმოო ენთუზიაზმი გამოიწვიეს პარტიის XX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, რომლებშიც დასახულია კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიადი პროგრამა და რომლებიც გამომდინარეობენ მთელი საბჭოთა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებიდან.

საქართველოს მშრომელები ერთსულოვანი აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებს. ისინი მხურვალედ იწონებენ კომუნისტური პარტიის ლენინურ პოლიტიკას და მტკიცედ აცხადებენ, რომ მზად არიან მთელი ძალები მოახმარონ პარტიის მიერ შემუშავებული გრანდიოზული გეგმების განხორციელებას, კომუნიზმის გამარჯვების საქმეს. ამჟამად რესპუბლიკაში იმართება პარტიის XX ყრილობის შედეგების განხილვისადმი მიძღვნილი კრებები, სადაც მუშები, კოლმეურნეები, მექანიზატორები — ყველა პროფესიის ადამიანები გამოთქვამენ თავიანთ უსაზღვრო ერთგულებას პარტიისა და მთავრობისადმი, პირობას დებენ იმუშაონ უფრო კარგად, უფრო ნაყოფიერად, კისრულობენ ახალ, გადიდებულ ვალდებულებებს.

განუხრელად იზრდება მასების შრომითი აქტივობა. პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სათავეში ჩაუდგნენ ამ აქტივობას და წარმართონ იგი სკკპ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელების უზრუნველსაყოფად. მეექვსე ხუთწლედის განხორციელების საქმეს, — ნათქვამია პარტიის XX ყრილობის დირექტივებში, — გადაწყვეტენ ადამიანები — მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, მათი თავდადებული, გმირული შრომა. ამიტომ აუცილებელია მშრომელთა ფართო მასებში გავაჩაღოთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, ყოველმხრივ განვავითაროთ მათი ინიციატივა და თვითმოქმედება. პოლიტიკური აგიტაციისა და პროპაგანდის ყველა ფორმა — საუბრები, ლექციები, მეცადინეობა პარტიული განათლების ქსელში, მშრომელთა კრებები იმისათვის უნდა გამოვიყენოთ, რომ თვითეულ კომუნისტს, თვითეულ მშრომელს გავაცნოთ და შევასწავლოთ XX ყრილობის მასალები.

ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა ისე უნდა ვაწარმოოთ, რომ იგი მჭიდროდ იყოს დაკავშირებული კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან, თვითეული საწარმოს, კოლმეურნეობის, მტს-ის წინაშე მდგომ კონკრეტულ ამოცანებთან. მხოლოდ მაშინ იქნება პოლიტიკური აგიტაცია და პროპაგანდა კონკრეტული და ქმედითი, მაშინ შეუწყობს იგი ხელს ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის მშრომელთა ფართო მასების დარაზმვას, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას, ნაკლოვანებებთან ბრძოლის გაძლიერებას.

ჩვენმა პროპაგანდისტებმა და აგიტატორებმა ყოველდღიურად ღრმად უნდა განუმარტონ მშრომელებს სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებანი. მაგრამ ისინი ამით არ უნდა დაკმაყოფილდნენ. ისინი მოვალენი არიან გააცნონ და განუმარტონ საბჭოთა ადამიანებს მოწინავე გამოცდილება, ურჩიონ, თუ როგორ გამოიყენონ ეს გამოცდილება მოცემულ საწარმოში, მოცემულ კოლმეურნეობაში. პროპაგანდისტები და აგიტატორები ამას მაშინ შეძლებენ, თუ მათ შესწავლილი ექნებათ არა მარტო ესა თუ ის თეორიული დებულება, არამედ კონკრეტული ეკონომიკაც და მშრომელთა წინაშე გამოვლენ მომზადებულად, საქმის ცოდნით.

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართოდ გააჩაღეს პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატში, 26 კომისრის საღებავების მანქანათმშენებელ ქარხანაში, აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში, ბათუმის ნავთობგადამმუშავებელ ქარხანაში აგიტატორები მუშებთან ყოველდღე აწყობენ საუბრებს, კითხულობენ გაზეთებს, სისტემატურად იმართება ლექციები და მოხსენებები პარტიის XX ყრილობის მასალებზე. მთელი პოლიტიკური მუშაობა მჭიდროდ დაკავშირებულია ცხოვრებასთან, საწარმოთა წინაშე მდგომ ამოცანებთან. აგიტატორები ეხმარებიან მუშებს ახალ, გადიდებულ ვალდებულებათა შემუშავებაში, აცნობენ მათ სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს, ეწევიან წარმოების ნოვატორთა გამოცდილების პოპულარიზაციას. ქალაქ ბათუმში 3.000 აგიტატორი განუმარტავს მშრომელებს პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს. მცხეთის რაიონში ამ საქმეს 400-მდე აგიტატორი ემსახურება. პარტიის ტყიბულის რაიკომის მუშაკებმა და პარტიულმა აქტივმა ყრილობის შედეგებზე 82 მოხსენება წაიკითხეს.

პარტიული განათლების ქსელში დაიწყო სკკპ XX ყრილობის მასალების შესწავლა. პოლიტსკოლებსა და წრეებში უკვე მოეწყო რამდენიმე მეცადინეობა. ზოგიერთმა პარტიულმა ორგანიზაციამ საჭიროდ მიიჩნია დამატებითი წრეებისა და თეორიული სემინარების შექმნა. მაგალითად, პარტიის მცხეთის რაიკომმა სკკპ XX ყრილობის მასალების შესწავლის დაწყებასთან დაკავშირებით დამატებით ჩამოაყალიბა 10 წრე და 5 თეორიული სემინარი.

ახლა მთავარია ის, რომ ყოველდღიურად ვიზრუნოთ და გავაუმჯობესოთ მეცადინეობის, სააგიტაციო საუბრის, ლექციისა და მოხსენების იდეური შინაარსი, მთელი საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა მჭიდროდ დავუკავშიროთ ცხოვრებას, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებს.

საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის შინაარსი, მოსახერხები ბევრად არის დამოკიდებული პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელობის დონეზე. პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები მოვალენი არიან ყოველდღიური ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიონ პროპაგანდისტებს და აგიტატორებს, მოაწყონ საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის მოწინავე გამოცდილების გაზიარება, აგიტატორების საინსტრუქტაჟო თათბირები და სემინარული მეცადინეობა. პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს მთელმა პარტიულმა აქტივმა. თვითეული პარტიული ხელმძღვანელი მოვალეა ხშირად გამოდიოდეს მშრომელთა წინაშე ლექციით და მოხსენებით.

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდაში დიდი როლი აკისრიათ ჩვენს გაზეთებს და რადიოს. მათი მოვალეობაა დაეხმარონ პარტიულ ორგანიზაციებს ღრმად განუმარტონ მშრომელებს კომუნისტური პარტიის ლენინური პოლიტიკა, ყოველდღიურად ზარდონ მასების შემოქმედებითი აქტივობა.

პარტიული ორგანიზაციების მთელი პროპაგანდისტული საქმიანობა სკკპ XX ყრილობის მასალების შესწავლის საქმეში უნდა წარიმართოს შინაპარტიული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების გზით, თვითეული კომუნისტის აქტივობის ამაღლების, გაბედული, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლისა და მასებთან კავშირის შემდგომი განმტკიცების გზით.

ფართოდ განუმარტავენ რა მასებს სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, პარტიული ორგანიზაციები პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის დონის ამაღლებით მოიპოვებენ ახალ წარმატებებს პარტიის მიერ საბჭოთა ხალხის წინაშე დასახული გრანდიოზული ამოცანების განხორციელებისათვის მშრომელთა მობილიზაციის საქმეში.

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ბოლესლავ ბერუტის დაკრძალვაზე

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ბოლესლავ ბერუტის დაკრძალვაზე ვარშავაში მიემგზავრება საბჭოთა მთავრობის დელეგაცია, რომელშიც შედიან შემდეგი ამხანაგები: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი (დელეგაციის მეთაური), რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ტ. კალჩენკო, ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ი. კოზლოვი, ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ი. პალეცკისი, საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ს. კონევი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. ბობროვნიკოვი, მწერალი ვ. ლ. ვასილევსკაია, საბჭოთა კავშირის ელჩი პოლონეთში პ. კ. პონომარენკო. (საკდესი).

ბ ო ლ ე ს ლ ა ვ ბ ე რ უ ტ ს

... ...

ბოლესლავ ბერუტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გლოვობს და დიდ სამძიმარს უცხადებს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პოლონელი ხალხის ერთგული შვილის, კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ძვირფასი ამხანაგის ბოლესლავ **ბერუტის** უდროოდ გარდაცვალების გამო.

ხსოვნა ბოლესლავ ბერუტისა, რომელმაც მთელი თავისი ნათელი ცხოვრება მოახმარა მუშათა კლასის საქმეს, სამუდამოდ დარჩება ჩვენი ხალხის გულში.

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭო დიდ სამძიმარს უცხადებს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და პოლონელ ხალხს და თქვენთან ერთად იზიარებს დიდ მწუხარებას იმის გამო, რომ უდროოდ გარდაიცვალა საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, პოლონელი ხალხის დიდი შვილი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, საბჭოთა კავშირის ერთგული მეგობარი **ბოლესლავ ბერუტი.**

ჩვენი ხალხის გულში მუდამ იცოცხლებს ნათელი ხსოვნა ამხანაგ **ბოლესლავ ბერუტისა,** რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა მუშათა კლასის საქმისადმი უანგარო სამსახურს.

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭო

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს
პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და სახელმწიფო საბჭოს

უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭო და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, მთელი უკრაინელი ხალხი თქვენთან და პოლონელ ხალხთან ერთად იზიარებენ ღრმა მწუხარებას იმის გამო, რომ გარდაიცვალა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ბოლესლავ ბერუტი — პოლონელი ხალხის დიდი შვილი, საერთაშორისო კომუნისტური მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე.

ბოლესლავ ბერუტის სახით პოლონეთის გაერთიანებულმა მუშათა პარტიამ, ახალი პოლონეთის მუშათა კლასმა და ყველა მშრომელმა დაკარგეს თავიანთი ნაცადი პოლიტიკური მოღვაწე და სოციალიზმის მშენებლობისათვის პოლონელი ხალხის ბრძოლის ორგანიზატორი.

ცხოვრება და მოღვაწეობა ამხანაგ ბოლესლავ ბერუტისა, რომელიც თავდადებით ემსახურებოდა თავისი ქვეყნის მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის საქმეს, სოციალიზმის საერთაშორისო ბანაკის საერთო საქმეს, შთამაგონებელი მაგალითი იქნება მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი — **უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭო** — **უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი**

1956 წლის 13 მარტი.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს
პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო! ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო სამძიმარს გითვლიან და თქვენთან ერთად, მთელ პოლონელ ხალხთან ერთად იზიარებენ დიდ მწუხარებას იმის გამო, რომ უდროოდ გარდაცვალა პოლონელი ხალხის დიდი შვილი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბოლესლავ ბერუტი.

პოლონელმა ხალხმა და პოლონეთის გაერთიანებულმა მუშათა პარტიამ ბოლესლავ ბერუტის სახით დაკარგეს კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი, დაუცხრომელი და უშიშარი მებრძოლი მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი მოძღვრების განხორციელებისათვის, სახალხო-დემოკრატიული წყობილების გამარჯვებისა და პოლონეთში სოციალიზმის აშენებისათვის.

მთელი მსოფლიოს მშრომელები ბოლესლავ ბერუტს იცნობენ როგორც საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთ-ერთ გამოჩენილ მოღვაწეს, რომელმაც მთელი თავისი შესანიშნავი სიცოცხლე მოანდომა საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობას.

ბელორუსი ხალხისა და ბელორუსიის კომუნისტური პარტიის გულში დარჩება ბოლესლავ ბერუტის, ხალხთა მშვიდობისათვის, საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა სამარადისო და ურღვევი მეგობრობისათვის დაუღალავი და უშიშარი მებრძოლის ნათელი სახე.

ბელორუსიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი — **ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭო**

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს
პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო და ბულგარეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით ეცნობა ამხანაგ ბოლესლავ ბერუტის ნაადრევ გარდაცვალებას.

ბულგარეთის ხალხი, ბულგარეთის კომუნისტები ერთგულ, ერთგულ მეგობრად, ერთგულ ძმად ინახავენ ბოლესლავ ბერუტის, ამ ნამდვილ ლენინელ-ინტერნაციონალისტის, ბოლშევიკ-ინტერნაციონალისტის, ბოლშევიკ-ინტერნაციონალისტის, ბოლშევიკ



მოქმედ ელექტროსადგურთა რიგში მალე ჩადგება გუმათპეხი. მშენებლები მთელი ენერგიით იბრძვიან იმისათვის, რომ დროზე დაამთავრონ დარჩენილი სამუშაოები და უახლოეს ხანში პირველი სამრეწველო დენი მისცენ ჩვენი რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებს. **სურათზე:** წყლის გადაშვება სადერივაციო არხში შვიდფარიანი რაბის საშუალებით.

ფოტო დ. კაკიტელაშვილისა.

რიონჰესელები ზრდიან ელექტროენერგიის გამომუშავებას

დიადი კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ საბჭოთა კავშირის ენერგეტიკული ბაზების მუშაკებს ამოცანად დაუსახა ყველა ღონისძიებით უზრუნველყონ არსებულ ენერგეტიკულ სიმძლავრეთა გამოყენების გაუმჯობესება, მაიმწყონ ელექტროენერგიის გამომუშავების მნიშვნელოვან გადიდებას და ამით ხელი შეუწყონ სახალხო მეურნეობის შემდგომ მძლავრ აღმავლობას.

რიონჰესელი ენერგეტიკოსები დაუღალავად იბრძვიან პარტიის ამ დიდი დავალების შესასრულებლად, ელექტროენერგიის გამომუშავების თანდათან გასადიდებლად.

რიონის ჰიდროელექტროსადგური, როგორც ცნობილია, რესპუბლიკის ენერგეტიკული სისტემის ერთ-ერთი მძლავრი ბაზაა. იგი რესპუბლიკას აძლევს საქენერგოს მთელი წლიური გამომუშავების დაახლოებით 15 პროცენტს. რიონჰესი კვებავს და იმუშავებს ქუთაისის საწარმოებს, ტყიბულს შახტებს, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას და ა. შ.

1955 წელს რიონჰესელმა ენერგეტიკოსებმა გამომუშავეს და სახალხო მეურნეობას გეგმის გადამეტებით მისცეს ერავალი მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია. სადგურის ბომსახურე პერსონალმა ამას თაღლწია ჰიდროდანადგარების შეუფერხებელი, გამართული მუშაობით, ახალი ტექნიკის დანერგვით და საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის განხორციელებით. ბავალთად, ინჟინერმა ბ. ჰაღლიანელმა შეიმუშავა რაციონალიზატორული წინადადება, რომელიც შეეხებოდა დანადგართა მუშაობის რეჟიმის გაუმჯობესებას. ამ წინადადების წარმოებაში დანერგვამ 7 მილიონი კილოვატსაათით გაადიდა ჰიდროელექტროსადგურის წლიური გამომუშავება და მოგვცა 125.000 მანეთი ეკონომია.

ელექტროენერგიის გამომუშავების გეგმების გადაჭარბებით შესრულებამ, საწარმოო ხარჯებში მომჭირნეობის რეჟიმის [illegible] დანერგვამ რიონჰესელებს საშუალება მისცა 6 პროცენტით შეემცირებინათ კილოვატსაათი ელექტროენერგიის თვითღირებულება და საკუთარი მოხმარებისათვის გათვალისწინებული ელექტროენერგიის ხარჯვაში გაეწიათ 56.000 კილოვატსაათის ეკონომია.

მეექვსე ხუთწლედში რიონჰესელმა ენერგეტიკოსებმა მიზნად დაისახეს სულ ცოტა 20 პროცენტით გადიდონ სადგურის მიერ ელექტროენერგიის გამომუშავება. ამ ამოცანის შესასრულებლად უკვე დამუშავებულია სათანადო ღონისძიებანი და დაწყებულია მათი განხორციელება. მთავარი ღონისძიებაა ჰიდროტურბინების მოდერნიზაცია მათი მარგი მოქმედების კოეფიციენტის გასადიდებლად. ამჟამად ეს კოეფიციენტი უდრის 0,88-ს, ხოლო 1960 წლისათვის იგი აყვანილ უნდა იქნეს 0,94-მდე. მარტო ამ ღონისძიების განხორციელებით ჰიდროელექტროსადგურის გამომუშავება 12-15 მილიონი კილოვატსაათით გაიზრდება.

მნიშვნელოვნად გაადიდებს სადგურის წლიურ გამომუშავებას ჰიდროტურბინების წყალმეფმა ნაწილების მაღალხარისხოვანი შეკეთება და გენერატორების კომპენსაციურ რეჟიმებზე მუშაობის დროს წყლის ფილტრაციის შემცირება.

მთავარი კი ხა არის, რომ მდინარე ცხენისწყლის ნაწილის რიონის ხეობაში გადმოგდების შედეგად, რაც დამოკიდებულია ლაჯანურჰესის მშენებლების გამართულ მუშაობაზე, მათ მიერ 1956 წლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმების შესრულების უზრუნველყოფაზე, რიონჰესის კოლექტივს საშუალება მიეცემა 20-25 მილიონი კილოვატსაათით გადიდოს ელექტროენერგიის წლიური გამომუშავება.

წელს იანვარსა და თებერვალში რიონჰესელმა ენერგეტიკოსებმა ცუდად როდი იმუშავეს. ელექტროენერგიის გამომუშავების ორი თვის გეგმა მათ ვადამდე შეასრულეს და სახალხო მეურნეობას გეგმის გადამეტებით 15,5 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია მისცეს. ჰიდროაგრეგატების კაპიტალური შეკეთების მაღალხარისხოვნად შესრულებაში, სადგურის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფაში თავი გამოიჩინეს უფროსმა ოსტატებმა ი. ვაშაკიძემ და გ. შელნიკოვმა, მორიგე ინჟინრებმა გ. წულაძემ და გ. იობიძემ, უფროსმა მემანქანეებმა მ. ეფენტმა და რ. წოწონავამ, მემოტორეებმა ვ. სანიტაშვილმა და ქ. სალდაძემ, ელექტრომონტაჟემ გ. ზუბიკაშვილმა, ზეინკლებმა ს. [illegible] ა. [illegible]ძემ, შ. სანიტაშვილმა და [illegible]

ენერგეტიკოსთა კოლექტივის გამართულ, კარგ მუშაობას ხელს უწყობს მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების მაღალ დონეზე დაყენება. რიონჰესელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იმუშაონ დღეს უკეთ, ვიდრე გუშინ მუშაობდნენ და ხვალ უფრო უკეთ, ვიდრე დღეს მუშაობენ, პირნათლად და ვადამდე შეასრულონ ელექტროენერგიის გამომუშავების მეექვსე ხუთწლედის გეგმა.

გ. დოლიძე,
რიონჰესის დირექტორი.

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐᲜ ᲐᲛᲮ. Შ. ᲡᲐᲑᲐᲜᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ

საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური და სახალხო-სამეურნეო ამოცანაა. მის წარმატებით გადაჭრაში დიდ როლს ასრულებს საზოგადოებრივი კვების განვითარება და გაუმჯობესება. აქეთკენ, საბჭოთა ადამიანების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისაკენ არის მიმართული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საზოგადოებრივი კვების საწარმოების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა.

ამ დადგენილების გამო გაზეთ „კომუნისტის“ თანამშრომელთან საუბარში საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრმა ამხ. შ. საბანაძემ განაცხადა:

— ეს დადგენილება მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის ახალი, მკაფიო გამოვლინებაა. მასში აღნიშნული ნაკლოვანებანი მთლიანად შეეხება ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივი კვების საწარმოებს. ჯერ კიდევ იგრძნობა სასადილოების, სასაუზმეების, კაფეების და ბუფეტების ნაკლებობა. საზოგადოებრივი კვების მთელ რიგ ობიექტებზე დაბალია კერძების ხარისხი, განსაკუთრებით მცირე რაოდენობით იყენებენ ბოსტნეულს და ზოგ სხვა პროდუქტს.

მნიშვნელოვნად გაფართოვდება საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელი, გაიზრდება მათი გამტარუნარიანობა. წელს რესპუბლიკაში გაიხსნება 52 ახალი ობიექტი, მათ შორის 31 მარტო სასადილო ჩვენს დედაქალაქში, რუსთავში, წყალტუბოში და სხვაგან. ბათუმში აშენდება დიდი კაფე, გაგრასა და სოხუმში საექსპლოატაციოდ გადაეცემა რესტორანები. გაიხსნება აგრეთვე სასაუზმეები და საჩაიეები. წლის პირველ ნახევარში თბილისში მუშაობას შეუდგება სამი სპეციალიზებული კაფე-სარძევე, სადაც ფირთო ასორტიმენტით გაიყიდება რძე და რძის ნაწარმი. გარდა ამისა, 10 სასურსათო მაღაზიასთან შეიქმნება რძის პროდუქტების განყოფილება. განზრახულია სასადილოები გაიხსნას ზოგიერთ საშუალო სკოლაშიც.

დიასახლისთა შრომის შესამსუბუქებლად თბილისში მოეწყობა ოთხი დიდი სამზარეულო, რომლებიც დაამზადებენ სადილებს მხოლოდ შინ გასაცემად.

მომხმარებელთა მომსახურების ყველაზე პროგრესული და რაციონალური ფორმაა თვითმომსახურება. იგი დიდად ამცირებს მომსახურების დროს და ზრდის კვების საწარმოთა გამტარუნარიანობას. 1956 წლის იანვრისათვის საქართველოში თვითმომსახურებაზე გადაყვანილი იყო 229 სასადილო და საუზმე. მათ შორის საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს სისტემის 168 სასადილო. საწარმოებთან და სასწავლებლებთან არსებული სასადილოების 35 პროცენტი და სასაუზმეების დაახლოებით 26 პროცენტი თვითმომსახურებაზეა გადასული. მალე კიდევ უფრო გაიზრდება ასეთი ობიექტების რაოდენობა.

ახლა 52 სასადილოსა და რესტორანში მოწყობილია კერძების შინ გაცემა. ამჟამად თბილისის ორმა სასადილომ დაიწყო წინასწარი დაკვეთით სახლში სადილების მიტანა, მალე კიდევ რამდენიმე სასადილო შეუდგება დაკვეთების მიღებას. უკვე დამზადებულია სპეციალური ურიკები, რომლებითაც ამ დღეებში დაიწყებენ ბინებზე პურის გაყიდვას თბილისში.

თვითმომსახურებასთან ერთად საგრძნობლად ამცირებს მომსახურების დროს საამქროებში ჩეკების წინასწარი გაყიდვა, რაც ამჟამად მხოლოდ 28 სასადილოში ხორციელდება. განზრახულია უახლოეს თვეებში კიდევ 38 ობიექტი იქნას გადაყვანილი ასეთ მუშაობაზე. მუშათა და სტუდენტთა 25 სასადილოში წელს პირველად იქნება შემოღებული შეღავათიან პირობებში საბონიმენტო სისტემა.

კერძების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებები: სამზარეულოებში გაძლიერდება მეთვალყურეობა ტექნოლოგიური პროცესების ზუსტად დასაცავად, გაძლიერდება აგრეთვე ლაბორატორიული და საზოგადოებრივი კონტროლი, სასადილოები უზრუნველყოფილ იქნებიან სანელებლებით, მიღებული იქნება ზომები მზარეულების კვალიფიკაციის ამაღლებლად.

შარშან საზოგადოებრივი კვების სისტემამ თვითმესყიდვით 28 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები შეიძინა. წელს კიდევ უფრო გაიზრდება ამ გზით სურსათ-სანოვაგის შესყიდვა. ეს, ცხადია, ხელს შეუწყობს კვების საწარმოთა დროულად უზრუნველყოფას მაღალი ხარისხის პროდუქტებით. გასულ წელს სასადილოების ნარჩენებით გამოკვების შედეგად მივიღეთ 229 ტონა ღორის ხორცი. წელს ორჯერ და კიდევ ბევრად მეტ ღორის ხორცს დავამზადებთ.

დღითიდღე უმჯობესდება კვების საწარმოთა აღჭურვა ჭურჭლით, ინვენტარით, ხელსაწყოებით, ავეჯით. ტექნოლოგიური მოწყობილობა — მექანიზებული ხორცსაკეპები, ელექტრომადუღებლები და ტაფები, ცომსაზელები, კარტოფილისა და ბოსტნეულის საჭრელ-საფცქვნელი მანქანები, კონვეიერული ტიპის ჭურჭელსარეცხი დანადგარები,— რასაც ჩვენ მივიღებთ, შეამსუბუქებს მზარეულების მუშაობას, აამაღლებს მათი შრომის ნაყოფიერებას და გაუმჯობესებს სანიტარულ პირობებს.

როცა სამრეწველო საწარმოთა, დაწესებულებათა და სასწავლებელთა ხელმძღვანელები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ზრუნავენ მშრომელთა კვების გაუმჯობესებისათვის და ეს თავიანთ ღვიძლ საქმედ მიაჩნიათ, მაშინ, როგორც წესი, სასადილოები და ბუფეტები კარგად მუშაობენ. ასეა, მაგალითად, თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატში, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოში და სხვ. მაგრამ ყველგან ასე როდია. თბილისის ფეხსაცმლის ფესამე ფაბრიკაში და ღვინის ქვისმაჭავას ქარხანაში სასადილოები მოუწყობელია და შეკეთება სჭირდება.

დიდი და სერიოზული ამოცანებია დასახული საზოგადოებრივი კვების მუშაკთა წინაშე. ამ ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში ჩვენ მხარი უნდა დაგვიჭირონ და დახმარება გაგვიწიონ საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. ეს მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის საქმეა.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲔᲡ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐᲡ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ბაშკირეთის მეცხოველეობის საჯიშე საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი გ. ბასილაშვილი), რომელიც ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებს სანაშენო ნოზარდეულით ამარაგებს და დიდძალ რძეს აწვდის თბილისს, აქამდე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. აქ ნაკლებად ზრუნავდნენ შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის — შრომისა და სახსრების რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯებით მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის, მაშინ როცა შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად დიდი რეზერვები ჰქონდათ. მაგალითად, მეურნეობის ეგრეთწოდებულ „მთისძირის“ ფერმაში უკვე კარგა ხანია ყველა შრომატევადი სამუშაო მთლიანად მექანიზებულია, მაგრამ ბოლო დრომდე ერთი მწველავი ძველებურად 9 ძროხას უვლიდა.

მიმდინარე წლის თებერვლიდან მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით პირველი სერიოზული ღონისძიებები განახორციელეს. დღეში ოთხჯერ წველის მოძველებული წესი ორჯერ წველით შეცვალეს.

აღნიშნული ღონისძიების დიდ სარგებლიანობას მოწმობს ის ფაქტი, რომ მიმდინარე სამეურნეო წლის 15 იანვრიდან პირველ თებერვლამდე 295 ძროხაზე მიიღეს 299 ცენტნერი რძე და ამ პროდუქციის წარმოებისათვის დახარჯეს 568 კაცდღე, ხოლო თებერვლის პირველ ორ კვირაში, როცა ძროხები ორჯერად წველაზე გადაიყვანეს, იმდენსავე ძროხაზე 310 ცენტნერი რძე მიიღეს, პროდუქციის წარმოებისათვის კი 372 კაცდღე დახარჯეს. ამრიგად, ერთი ცენტნერი რძის წარმოებაზე ორჯერ წველის დროს დაიხარჯა 1,2 კაცდღე, მაშინ როცა ძველი წესით წველის დროს ამდენივე რძის წარმოებაზე 1,9 კაცდღე იხარჯებოდა.



— ოთხჯერ წველიდან ორჯერად წველაზე გადასვლამ მწველავების სათანადოდ დატვირთვის საშუალება მოგვცა, — განაცხადა მეურნეობის მთავარმა ზოოტექნიკოსმა მ. ლომთათიძემ. ამჟამად მეურნეობაში ყოველ 13 ძროხას ერთი მწველავი უვლის. ყოველ ბრიგადაში მუშაობა ორ ოთხ-ოთხსაათიან პერიოდად წარმოებს — დილის ექვსი საათიდან ათ საათამდე და საღამოს ექვსი საათიდან [illegible] დებში გარკვეული თანმიმდევრობით სრულდება მწველი პირუტყვის მოვლის ყველა საჭირო სამუშაო, როგორიც არის კვება, წველა, გაწმენდა, საკვების საკმელად მომზადება და სხვ. იმისათვის, რომ წველადობა არ შემცირდეს, ახალმოგებულ ძროხას პირველ დეკადაში ოთხჯერ წველიან — ორჯერ დილით და ორჯერ საღამოთი, შემდეგ კი მხოლოდ ორჯერ.



ორჯერ წველის შემოღებამდე ხდებოდა თვითეული ძროხისაგან მოწველილი რძის ყოველდღიური აღრიცხვა. მაგრამ ძროხების მერძეული პროდუქტიულობის დადგენა შეიძლება პერიოდული საკონტროლო წველის საფუძველზე. ახლა ბრიგადირი ყოველი დეკადის ბოლოს ახდენს საკონტროლო წველას — დღეღამეში მოწველილი რძის რაოდენობას ამრავლებს საკონტროლო წველათაშორისი დღეების რაოდენობაზე. მიღებული რძის რაოდენობა იქნება ერთ დეკადაში მიღებული პროდუქცია. საკონტროლო წველის შედეგად თვის ბოლოს ზუსტად ადგენენ მოწველილი რძის რაოდენობას.

აღრიცხვის ამ ახალი წესის გამოყენებით მნიშვნელოვნად შემცირდა ალმრიცხველთა რაოდენობა.

აღრიცხვის ამ მეთოდის სისწორე მეურნეობის სპეციალისტებმა შეამოწმეს. საკონტროლო წველასთან ერთად ხდებოდა რძის წველადობის ყოველდღიური აღრიცხვა. შედარებამ გამოარკვია, რომ აღრიცხვის შედეგებში განსხვავება მთელ წლიურ წველადობაში ჩვეულებრივ 2,5 პროცენტს არ აღემატება, ხოლო ხშირ შემთხვევაში ერთ პროცენტსაც ვერ აღწევს.

ორჯერად წველაზე გადასვლამ, მეურნეობაში წველადობის აღრიცხვის საკონტროლო მეთოდმა მნიშვნელოვნად შეამცირა პროდუქციის ერთეულზე შრომის დანახარჯები, გაზარდა შრომის ნაყოფიერება, გააიაფა მეცხოველეობის პროდუქცია. ამ მხრივ მეურნეობაში მომავალში მეტის გაკეთება შეიძლება, თუ ნაკლებპროდუქტიული ძროხების მწველავებს უფრო დატვირთავენ, მოსავლელად მეტ პირუტყვს მიუჩენენ და ამასთან მექანიკურ წველასაც ფართოდ დანერგავენ. ძროხების ორჯერ წველის დანერგვა საქმით პასუხია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებზე.

რ. დავითური,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲠᲫᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ

ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝ. **(საკ. კორ.).** ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადაეცა საქართველოს სსრ ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროს წყალტუბოს რძის ქარხანა, რომელსაც ყოველდღიურად შეუძლია გადაამუშაოს 5-6 ტონა რძე. პირველი სამი დღის განმავლობაში ქარხანაში რაიონის კოლმეურნეობებიდან მიღებული და გადამუშავებულია 4.300 კილოგრამი რძე.

ᲮᲕᲜᲐ-ᲗᲔᲡᲕᲐᲡ ᲐᲩᲐᲚᲔᲑᲔᲜ

ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ. **(საკ. კორ.).** რაიონის მტს-ების მექანიზატორებმა ტრაქტორებისა და სხვა იარაღ-მანქანების რემონტი წელს წინა წლებთან შედარებით გაცილებით უფრო მოკლე ვადაში და მაღალხარისხოვნად დაამთავრეს.

ყვარლის მტს-ის მექანიზატორებმა უკვე ათას ჰექტარზე მეტი მოხნეს. მოსახნავი აქვთ სამას ჰექტარზე ცოტა მეტი. დათესილია პირველი 150 ჰექტარი შვრია. ახალსოფლის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობამ, სადაც გ. ყუდროშვილის სატრაქტორო ბრიგადა მუშაობს, უკვე 60 ჰექტარი შვრია დათესა.

ხვნა-თესვა გააჩაღეს ენისლის მტს-ის მექანიზატორებმაც. ტრაქტორისტმა გ. კიკვაძემ ენისლის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობას 45 ჰექტარი შვრია დაუთესა. შვრიის თესვა დაიწყეს შილდისა და საბუის კოლმეურნეობებმაც.

ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲙᲚᲣᲑᲨᲘ

მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში გაიხსნა თბილისის ზოოტექნიკურ-ვეტერინარული ინსტიტუტის ახალი კლუბი. არჩეულ იქნა საკლუბო საბჭო, რომელმაც ფართოდ გაშალა მუშაობა.

საკლუბო საბჭომ (თავმჯდომარე ი. ურუშაძე) ინსტიტუტის ადმინისტრაციასთან ერთად შეიმუშავა სამუშაო გეგმა, რომლის განხორციელება მიზნად ისახავს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ჩაბმას საზოგადოებრივ მუშაობაში, მასობრივ-კულტურული საქმიანობის გაჩაღებას.

საკლუბო საბჭოს ინიციატივით საინტერესო ღონისძიებანი ხორციელდება. მოეწყო შემოქმედებითი შეხვედრა ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივთან, მოწვეულ იქნენ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობი ოლგა დოლიძე, სპორტის გამოჩენილი ოსტატები ბორის ბაიკაძე და გივი კარტოზია. გარდა ამისა, მხატვრული თვითმოქმედი წრეების მონაწილეობით ინსტიტუტში სისტემატურად ეწყობა საღამო-წარმოდგენები და კონცერტები.

მოეწყო 1905-1907 წლების რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია; იკითხება ლექციები და მოსხსენებები როგორც საერთაშორისო, ისე სამეცნიერო-პოპულარულ თემებზე.

ინსტიტუტის კლუბში ფართო გაქანებას პოულობს სტუდენტთა მხატვრული თვითმოქმედება. თვითმოქმედი წრეებიდან მუშაობაში 200-მდე სტუდენტი მონაწილეობს. ინსტიტუტის დრამატულმა წრემ, რომლის ხელმძღვანელია რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობი დ. გაგუა, დადგა მთელი რიგი ახალი პიესები, მათ შორის ნ. გოგოლის „რევიზორი“, ა. წერეთლის „პატარა კახი“, გ. მდივნის „ძმები“, გ. ქელბაქიანის „დეპეშა“ და სხვ. გარდა ამისა, დრამატულ წრეს წელს გათვალისწინებული აქვს მოამზადოს ა. ყაზბეგის „არსენა“.

კლუბთან ნაყოფიერად მუშაობს მოცეკვავეთა და მოცეკვალთა წრეები. მოცეკვავეთა წრეში, რომლის ხელმძღვანელია ქორეოგრაფი რ. ბოხონელიძე, 100 სტუდენტია ჩაბმული. მომღერალთა წრეს ხელმძღვანელობს ინსტიტუტის კლუბის გამგე შ. ქათაძაძე.

თვითმოქმედი წრეების ყოფილი წევრები ე. ჯაბადარი, კ. ქორჩილავა, მ. ტატიშვილი და სხვები ამჟამად მოწინავე ზოოტექნიკოსები და ვეტექიმები არიან და თავისუფალ დროს კოლმეურნეობებში მომღერალთა გუნდებს ნაყოფიერად ხელმძღვანელობენ.

ინსტიტუტის საკლუბო საბჭომ შარშან ჩამოაყალიბა მომღერალთა რუსული გუნდი და ქორეოგრაფიულ ჯგუფი, სასულე ორკესტრი, საესტრადო ჯგუფი და სხვ.

საკლუბო საბჭოს გათვალისწინებული აქვს მოაწყოს გამორჩეული რუსი წერილის თ. დოსტოევსკის გარდაცვალების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, შეხვედრები რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივთან, სახალხო პოეტ გალაქტიონ ტაბიძესთან, სპექტაკლ „ბაია წყნეთელის“ გარჩევა და სხვ.

ზოოვეტინსტიტუტის საკლუბო საბჭო არ უნდა დაამყოფილდეს მიღწეულით. საჭიროა მან კიდევ უფრო გააძლიეროს მასობრივი და კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობა.

ვ. ქეთილაძე.

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

ᲠᲣᲡᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ

სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა წარმოადგენს საბჭოთა საზოგადოების მძლავრ მამოძრავებელ ძალას, იგი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოსა და მოძმე რესპუბლიკების ყველა წარმატების აუცილებელი პირობაა.

ჩვენი ქვეყნის ხალხთა თანამეგობრობას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. ამ გმირული ტრადიციების მეცნიერული გაშუქება ხელს უწყობს საბჭოთა ხალხების მეგობრობის ყოველმხრივ განმტკიცებას და მათს ძლევამოსილ წინსვლას კომუნიზმისაკენ.

შინაფეოდალური და უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლების შედეგად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ საქართველო XVIII საუკუნის დამლევსა და XIX საუკუნის დამდეგს ამყარებს მჭიდრო პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ კავშირს ალმავლობის გზით მიმავალ რუსეთთან. გარეშე და შინაური მტრების, ცარიზმის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლებში ჩამოყალიბდა რუსი და ქართველი ხალხების თანამეგობრობა, რომელსაც უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა.

ამ ფრიად მნიშვნელოვანი საკითხის მარქსისტულ-ლენინური გაშუქებისადმი მიძღვნილია ა. იოსელიანის წიგნი „რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან (XIX საუკუნის რეფორმამდელი პერიოდი)“.

ავტორი მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომებზე დაყრდნობით და მდიდარი საარქივო მასალის გამოყენებით ცხადყოფს, რომ რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობა გამმტკიცდა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ წარმოებულ სამართლიან ომებში და ქვეყნის შიგნით ექსპლოატატორულ კლასებთან რევოლუციურ ბრძოლებში.

სარეცენზიო წიგნში დასაბუთებულია, რომ აღმოსავლეთში რუსეთის გავლენის წინააღმდეგ მებრძოლი ინგლისელი და ფრანგი იმპერიალისტები ცდილობდნენ რუსეთისაგან კავკასიის ხალხთა ჩამოცილებას და მათს დაპყრობას. მაგრამ არა მარტო კავკასიელი, არამედ თურქეთის მონობაში მყოფი ხალხებიც კი რუსეთში ხედავდნენ თავიანთი განთავისუფლების იმედს.

ქართველი ხალხი ირანთან და თურქეთთან ყველა ომში კავკასიის მოძმე ხალხებთან ერთად მუდამ აქტიურად მონაწილეობდა რუსეთის მხედრობის მხარდამხარ საერთო მტრის წინააღმდეგ. მისი საუკეთესო შვილები ვაჟკაცური თავდადებით იბრძოდნენ რუსეთის მიწაწყალზე შემოჭრილი ნაპოლეონის ურდოების განადგურებისათვის.

ავტორის მიერ მოყვანილი საბუთებით დასტურდება, რომ ქართველთა სამილიციო რაზმები წარმოადგენდნენ რუსეთის რეგულარული არმიის მნიშვნელოვან დამხმარე ძალას. ავტორი ალ. ორბელიანის საყურადღებო ცნობებზე დაყრდნობით ასაბუთებს, რომ რუსეთ-ირანის 1826-1828 წლების ომში, როცა ირანელები თბილისს დაპყრობით დაემუქრნენ, 6 ათასამდე შეიარაღებული ქართველი მეომარი თავდადებით იბრძოდა რუსეთის მხედრობის მხარდამხარ თავდამსხმელთა წინააღმდეგ. სარეცენზიო წიგნში მოყვანილია ალ. გრიბოედოვისა და ალ. ჭავჭავაძის საყურადღებო დაკვირვებანი იმ დიდ ნივთიერ და ფიზიკურ მსხვერპლზე, რასაც ქართველი ხალხი რუსეთთან ერთად სისტემატურად იღებდა კავკასიის ხანგრძლივ ომებში.

კავკასიის მთიანეთის საზღვრისპირა, თუშ-ფშავ-ხევსურეთის, კახეთისა და საქართველოს სხვა რაიონების მცხოვრებთა გმირული ბრძოლებიდან მრავალი საყურადღებო ეპიზოდია მოყვანილი. ავტორის მიერ გაკეთებული დასკვნები ნათელყოფენ, თუ რა თავდადებით იბრძოდნენ საქართველოს გლეხები თავდამსხმელების წინააღმდეგ, განსაკუთრებით ყირიმის კამპანიის დროს, მაშინ, როცა რუსეთი მძიმე ომში იყო ჩაბმული თურქეთთან, რომელსაც ყოველმხრივ ეხმარებოდნენ ინგლისელი და სხვა ქვეყნების იმპერიალისტები.

XIX საუკუნის რეფორმამდელი პერიოდი ხასიათდება არა მარტო ომებით, არამედ საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხთა სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში ძველი, ფეოდალური საზოგადოების რღვევითა და ახალი, კაპიტალისტური წყობის ელემენტების ჩასახვითა და ზრდით. ავტორს განხილული აქვს ახალი ვითარებით გამოწვეული წინააღმდეგობებიც: საქართველოს სხვადასხვა საზოგადოებრივი კლასებისა და ფენების პრინციპულად სხვაგვარი დამოკიდებულება აღნიშნული ბრძოლებისადმი, თავადაზნაურობის რეაქციული ფენებისაგან განსხვავებით მშრომელთა თავდადებული ბრძოლა დიდ რუს ხალხთან ერთად საერთო მტრის წინააღმდეგ. კავკასიის ომებისადმი ქართველი ხალხის ასეთი დამოკიდებულებით ნათლად დასტურდება ის, რომ მასებს რუსეთთან საქართველოს შეერთება თავიდანვე პროგრესულ მოვლენად მიაჩნდათ და ამიტომაც ასეთი თავდადებით იბრძოდნენ რუსეთის მხარეზე უცხოელი დამპყრობლების გასანადგურებლად.

ავტორს საყურადღებო მასალები მოჰყავს რუსი და ქართველი მწერლების ნაწარმოებებიდან კავკასიის განმათავისუფლებელ ომებში რუსი მხედრობის მხარდამხარ ქართველი და კავკასიის სხვა ხალხების აქტიური მონაწილეობის შესახებ.

სარეცენზიო წიგნს აქვს ზოგიერთი ნაკლიც. მასში საკმაოდ არ არის წარმოდგენილი რუსი და ქართველი ხალხების თანამეგობრობა რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის 1805-1813 წლების ომებში. ნაშრომი დიდად მოიგებდა, ავტორს უფრო რომ გაემახვილებინა ყურადღება რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოს ეკონომიური და კულტურული ცხოვრების აღმავლობაზე.

წიგნში ხშირად ვხვდებით რუსულ ციტატებს, მაშინ

მოსკოვიდან გაემგზავრა ბ-ნი ვენსან ორიოლი

13 მარტს მოსკოვიდან თვითმფრინავით გაემგზავრა საფრანგეთის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე საფრანგეთის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი ბ-ნი ვენსან ორიოლი მეუღლითურთ, რომელიც საბჭოთა კავშირში იყო როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის პირადი სტუმარი.

ბ-ნმა ვენსან ორიოლმა ორი კვირა დაჰყო სსრ კავშირში. გარდა მოსკოვისა, იგი იყო ლენინგრადში, კიევში, დონის როსტოვში, თბილისში, სტალინგრადში. ბ-ნი ვენსან ორიოლი ესაუბრა საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებს, გაეცნო საწარმოთა, კოლმეურნეობათა მუშაობას, იყო სასწავლებლებში, თეატრებში, მუზეუმებში.

მიმავალნი ვნუკოვოს აეროდრომზე გააცილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ და ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ი. ი. პალეცკისმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ნ. მ. პეგოვმა, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. ი. ბობროვნიკოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილემ ა. თ. გორკინმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის პირველი განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელმა ვ. ა. ვალკოვმა, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების გამგეობის წევრმა ლ. დ. კისლოვამ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ოქმის უფროსმა გ. ი. ფომინმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კანცელარიის უფროსის მოადგილემ ი. ა. კოროლიოვმა, პრესისა და რადიოს წარმომადგენლებმა.

ბ-ნი ვენსან ორიოლი გააცილეს აგრეთვე საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში მ. დეჟანმა და სსრ კავშირში საფრანგეთის საელჩოს შემადგენლობამ.

მოსკოვიდან გამგზავრების წინ ბ-ნმა ვენსან ორიოლმა აეროდრომზე შემდეგი განუცხადა პრესის წარმომადგენლებს:

— მე დიდად დამაინტერესა სამრეწველო პროგრესისა და ტექნიკური მიღწევების მაგალითებმა, რომლებიც საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს მიჩვენეს. ამ პროგრესის სისწრაფემ მით უფრო განმაცვიფრა, რომ საბჭოთა კავშირს უნდა გადაელახა მნიშვნელოვანი ჩამორჩენილობა ამ დარგში სხვა ქვეყნებთან შედარებით და, გარდა ამისა, საბჭოთა კავშირი, ისევე როგორც ჩვენ, წაწყდა დამანგრეველი ომით გამოწვეულ სიძნელეებს.

მე ტექნიკის დარგის სპეციალისტი არა ვარ, გარდა ამისა, ცოტა ხანს ვიყავი საბჭოთა კავშირში, ამიტომ არ ვკისრულობ შევადარო თვითეული ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ დარგში მიღწეული შედეგები. მაგრამ მე შემექმნა შთაბეჭდილება, რომ არის დარგები, რომლებშიც საბჭოთა კავშირი წინ მიდის, და არის დარგები, რომლებშიც ჩვენში შეგვიძლია მეტი განვითარება აღვნიშნოთ.

სავსებით აშკარაა, რომ ყოველივე ეს მეტყველებს იმის სასარგებლოდ, რომ ჩვენს ორ ქვეყანას შორის მოხდეს ტექნიკური გაცვლა.

დიდად მასიამოვნა იმ გულთბილმა მიღებამ, რომელსაც ყველგან გვიწევდნენ სსრ კავშირში. მე ეს მიმაჩნია საფრანგეთისადმი დიდი ინტერესის გამოვლინებად. მე მარტო იმ დიდ თავაზიანობაზე როდი ვლაპარაკობ, რომელსაც ყოველთვის იჩენდნენ ჩვენდამი ოფიციალური პირები. მე ვლაპარაკობ აგრეთვე გულთბილ მიღებაზე სსრ კავშირის ხალხის მხრივ. ეს მიმაჩნია იმის დადასტურებად, რომ საბჭოთა ადამიანები ცხოველ ინტერესს იჩენენ საფრანგეთისადმი. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ტექნიკური ინსტიტუტების სტუდენტებმა, საშუალო სკოლების მოსწავლეებმა. იგრძნობა, რომ ენთუზიაზმით გამსჭვალული ეს ახალგაზრდობა ისწრაფვის რაც შეიძლება მეტი ცოდნა შეიძინოს ყველა დარგში. ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო მენახა მხურვალე სიმპათიის გამოვლინება ფრანგი ხალხისადმი, რაც მიამბო აგრეთვე შვიდმა ფრანგმა სტუდენტმა, რომლებიც ახლა მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობენ. აი ამიტომ ვფიქრობ, რომ სტუდენტებისა და მასწავლებლების გაცვლას შეუძლია მეტად სასარგებლო როლი შეასრულოს ამ დარგში. ასეთი კონტაქტის გაფართოებით ჩვენ და თქვენ შეგვიძლია მხოლოდ მოვიგოთ. ეს ვუთხარი სწორედ ამ დღეებში ოფიციალურ პირებს. მე ვთქვი, რომ ხელი უნდა შევუწყოთ იმას, რომ საბჭოთა კავშირში ჩამოვიდეს რაც შეიძლება მეტი ფრანგი და საფრანგეთში — რაც შეიძლება მეტი საბჭოთა მოქალაქე.

ასეთია ჩემი საერთო შთაბეჭდილება. ახლა უნდა ჩავუფიქრდე იმას, რაც აქ ვნახე. ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ ჩვენ და თქვენ დიდი ღონისძიებანი უნდა განვახორციელოთ ურთიერთგაგების დარგში მეგობრობის ინტერესებისათვის, რაც ესოდენ საჭიროა მშვიდობისათვის. (საკდესი).

ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის პრეს-კონფერენცია ანკარაში

ანკარა, 13 მარტი. (საკდესი). ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა სელვინ ლოიდმა პრეს-კონფერენციაზე ანკარაში განაცხადა, რომ ინგლისი დადებითად ეკიდება „თურქეთის თეზისს“, რომ კუნძულ კვიპროსს დიდი მნიშვნელობა აქვს თურქეთისათვის სტრატეგიულად. ლოიდმა განაცხადა, ეს თეზისი ყოველნაირად უნდა დავიცვათო. ლოიდმა თქვა, რომ ინგლისი ისწრაფვის ჯერ დაამყაროს კუნძულზე „წესრიგი“, შემდეგ კი შექმნას „ავტონომიური მთავრობა“, რომლის შექმნის დროსაც მხედველობაში მიღებული იქნება თურქი ეროვნულ უმცირესობის ინტერესები.

ლოიდმა განაცხადა, რომ ანკარაში ყოფნის დროს მას საუბრები ჰქონდა თურქეთის პრეზიდენტ ბაიართან, პრემიერ-მინისტრ მენდერესსა და საგარეო საქმეთა მინისტრ ქეფრულუსთან. ამ საუბრების დროს განიხილეს შუა აღმოსავლეთის მდგომარეობის, ბაღდადის პაქტსა და კვიპროსის მდგომარეობის საკითხები. ინგლისის პოლიტიკის ერთ-ერთი ამოცანა, აღნიშნა ლოიდმა, არის თურქეთთან მეგობრობის განმტკიცება ნატო-ს და ბაღდადის პაქტის ფარგლებში. ლოიდმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამჟამად ინგლისის პოლიტიკა შუა აღმოსავლეთში მიზნად ისახავს ბაღდადის პაქტის განმტკიცებას.

ნერუს მომავალი გამგზავრება საფრანგეთში

ლონდონი, 13 მარტი. (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტო იუწყება, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პინომ გუშინ დელში პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ნერუ დათანხმდა ეწვიოს პარიზს მიმდინარე წლის გაზაფხულზე.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 13 მარტი. (საკდესი). დღეს ღამით საფრანგეთის ეროვნულ კრებაში დამთავრდა მთელი რიგი კენჭისყრა გი მოლეს მთავრობისადმი ნდობის საკითხის შესახებ. როგორც უკვე ვიუწყებოდით, გი მოლემ ოთხჯერ დააყენა ნდობის საკითხი და მოითხოვა ეროვნულ კრებას ძიელო მთავრობისათვის ალეერში საგანგებო რწმუნებათა მინიჭების კანონპროექტის ცალკეული მუხლები, აგრეთვე მიელო ეს კანონპროექტი მთლიანად; პირველი სამი კენჭისყრის დროს ეროვნულმა კრებამ ნდობა გამოუცხადა მთავრობას ხმის მნიშვნელოვანი უმრავლესობით. გვიან ღამით მოხდა მეოთხე კენჭისყრა (მთელი კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით). მთავრობისადმი ნდობის გამოცხადებას ხმა მისცა 455 დეპუტატმა, წინააღმდეგ — 76 დეპუტატმა, თავი შეიკავა 6 კაცმა. ამრიგად, ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონპროექტი.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

პოლონეთი



პოზნანის სამშენებლო ორგანიზაციების მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ტექნიკისა და რაციონალიზაციის კლუბი, რომელიც 1950 წლიდან არსებობს, აერთიანებს ამ ქალაქის 12 სამშენებლო ორგანიზაციის და 3 საპროექტო ბიუროს რაციონალიზატორებს.

გასული ხუთი წლის მანძილზე პოზნანის რაციონალიზატორებმა წარმოებაში დანერგეს 1.600-ზე მეტი წინადადება, რამაც სახელმწიფოს 20 მილიონი ზლოტის ეკონომია მისცა. კლუბთან არსებობს ბიბლიოთეკა, რომელსაც აქვს ათასობით ტომი ტექნიკური ლიტერატურა, აგრეთვე საზღვარგარეთისა და პოლონეთის მრავალი ტექნიკური ჟურნალი.

სურათზე: ახალი რაციონალიზატორული წინადადების განხილვა კლუბის ბიბლიოთეკაში. მარცხნიდან მარჯვნივ — ზეინკალი მიხეილ ლუშჩაკი, ზეინკალი ედმუნდ ხანზევნიაკი, კლუბის კონსულტანტი სტანისლავ ტრავჩინსკი და მოსამსახურე ო. როსიკევიჩი.

ფოტო კონდრაცკისა (პოლონეთის ცენტრალური ფოტოსააგენტო).

უნგრეთი

საბალნო ხელისუფლების წლებში უნგრეთის მრეწველობა ძალიერ შეიცვალა.

პირველი ხუთწლედის (1949-1954 წლები) შედეგად უნგრელმა მშრომელებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ქვეყნის სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციაში.



სამრეწველო წარმოების მოცულობა ხუთწლედის უკანასკნელ წელს 131 პროცენტით მაღალი იყო, ვიდრე 1949 წელს, ამასთან ყველაზე სწრაფად ვითარდებოდა მრეწველობა, რომელიც წარმოების საშუალებებს აწარმოებს. მისი პროდუქცია ხუთი წლის განმავლობაში გაიზარდა 188 პროცენტით, ამასთან მანქანათმშენებლობის პროდუქცია 267 პროცენტით. წარმოება გაფართოვდა მსუბუქ და კვების მრეწველობაშიც. მისი პროდუქციის მოცულობა ხუთი წლის განმავლობაში 127 პროცენტით გაიზარდა.

გასულ წელს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში სამრეწველო წარმოების დონემ ომამდელს სამნახევარჯერ გადააჭარბა. ბევრი საწარმოს კოლექტივებმა აითვისეს რთული მანქანებისა და ჩარხების გამოშვება.

სურათზე: ჰიდროგენერატორის სტატორის დამუშავება ბუდაპეშტის კლემენტ გოტვალდის სახელობის ქარხნის საამქროში.

ფოტო მადიარ ფოტოსი.

პოლონეთის გაერთიანებული გლეხთა პარტიის II ყრილობამ მუშაობა დაამთავრა

ვარშავა, 13 მარტი. (საკდესი). ვარშავაში მუშაობა დამთავრა გაერთიანებული გლეხთა პარტიის II ყრილობამ. ყრილობამ განიხილა პარტიის უკანასკნელი ექვსი წლის მოღვაწეობის ანგარიში და დასახა პარტიის ამოცანები პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესრულების საქმეში. ყრილობამ აირჩია აგრეთვე პარტიის ახალი ხელმძღვანელი ორგანოები.

ყრილობის მთელმა მუშაობამ ჩაიარა მუშაობა და გლეხთა კავშირის შემდგომი განმტკიცების, პოლონეთში სოციალიზმის მშენებლობის ამოცანების შესრულებაში, მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებაში ეროვნული ფრონტის საქმიანობის გაძლიერების ნიშნით.

შეთანხმება საქონელგაცვლაზე პოლონეთსა და უნგრეთს შორის 1956 წლისათვის

ვარშავა, 13 მარტი. (საკდესი). პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ხელმოწერილია შეთანხმება საქონელგაცვლისა და გადასახდელთა შესახებ 1956 წლისათვის. შეთანხმება ითვალისწინებს საქონელგაცვლის მნიშვნელოვან ზრდას.

უნგრეთი პოლონეთს მიაწვდის ნავთობპროდუქტებს, კომბაინებს, ავტობუსებს და სხვა მანქანებსა და სამრეწველო მოწყობილობას, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქტებს. პოლონეთი უნგრეთში გაიტანს ქვანახშირს, კოქსს, თუთიას, საღებრებს, ქიმიკალიებს, ჩარხებს, მსუბუქ ავტომობილებს, სამთო და ქიღალდის მრეწველობის მანქანებსა და მოწყობილობას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საიუბილეო სესია

15 მარტს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის — საიუბილეო სესია, მიძღვნილი საბჭოთა საქართველოს 35 წლისთავისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის 15 წლისთავისადმი.

ამ თარიღებისადმი მიძღვნილ მოხსენებას გააკეთებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. მუსხელიშვილი.

სესია მოისმენს აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა შემდეგ მოხსენებებს: ა. ბოჭორიშვილი — „სუბიექტური სინამდვილის შემეცნების ბიბველი პრობლემის შესახებ“, ლ. ჯაფარიძე — „ეაზის ქლოროზის ფიზიოლოგიური არსი“, ნ. აფლაძე — „საქართველოში მანგანუმის მოპოვებისა და რაციონალურად გადამუშავების შესახებ მეექვსე ხუთწლედში“ და აკად. ხ. ბერიტაშვილი — „ადამიანთა და ცხოველთა ორიენტაცია სივრცეში“.

უნგრული ლიტერატურის გამოფენა

საქართველოს კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში მოეწყო უნგრული ლიტერატურის გამოფენა, რომელიც მიეძღვნა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან უნგრელი ხალხის განთავისუფლების მე-11 წლისთავს.

გამოფენის სამ სტენდზე წარმოდგენილია უნგრეთის ცნობილი მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებები ქართულ და რუსულ ენებზე, აგრეთვე წერილები უნგრული ლიტერატურის შესახებ.

ექსპონირებულ მასალებს შორის ყურადღებას იპყრობს შანდორ პეტეფის, ანატოლ გიდაშის, მათე ზალკას, პალ საბოს, პეტერ ვერეშისა და სხვათა ნაწარმოებები, უნგრული ზღაპრები და სხვ.

მსახიობთა ბრიგადა მწყემსებთან

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიამ თებერვლის დამლევს ყიზლარში გაგზავნა მსახიობთა ბრიგადა საზამთრო საძოვრებზე მყოფი მწყემსების კულტურული მომსახურებისათვის.

ბრიგადამ მწყემსებს უკვე გაუმართია რამდენიმე კონცერტი. საინტერესო რეპერტუარით გამოდიან ქართული ესტრადის ოსტატი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ს. ჯაფარიძე, საკუთარი ფელეტონების ავტორი — ინიციატორი თ. მაისურაძე, ფანდურის დამკვრელი ე. კაკობაშვილი, ორიგინალური ჟანრის მსახიობი — მანიპულატორი მანუერი, მომღერლები ვ. კეკელია და ნ. ურუშაძე, მსახიობი შ. ალავიძე და აკორდეონის დამკვრელი მ. ვოლკოვიჩი.

მსახიობები ყიზლარში მწყემსებთან მარტის ბოლო რიცხვებამდე დარჩებიან.

დღის სეანსები ბავშვებისათვის

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კინოფიკაციის სამმართველოს და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გადწყვეტილებით ბავშვთა კინომომსახურების გაუმჯობესებისათვის ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის კინოთეატრებში „თბილისში“, 26 კომისრის სახელობისა და „კომკავშირელში“ მიმდინარე წლიდან ყოველდღიურად დილის საათებში ეწყობა საბავშვო კინოფილმების დემონსტრაცია ორ სეანსად.

საბავშვო კინოფილმების ჩვენება კვირაობით წარმოებს აგრეთვე რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონული ცენტრების კინოთეატრებსა და სასოფლო კლუბებში.

ლექცია

15 მარტს საღამოს 8 საათზე საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ლექტორიუმში (ლენინის ქუჩა, 35) შედგება ლექცია თემაზე: „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“. ლექტორი — ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი კ. ტაბატაძე.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

დისერტაციების დაცვა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

(ბელიაშვილის ქ. № 10)

27 მარტს დღის 1 საათზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

1. **მირიან ბიოურგის-ძე მესტიაშვილი**

თემაზე: „მასალები ბავშვთა ეპილეფსიის კლინიკისათვის“.

2. **არჩილ გრიგოლის-ძე ნარსია**

თემაზე: „ორგანოთა (ღვიძლის, კუჭქვეშა ჯირკვლის, თირკმელების, თირკმელზედა ჯირკვლების, გულისა და ჩონჩხის კუნთის) მორფოლოგიური ცვლილებები ექსპერიმენტალურ ალიმენტური დისტროფიის დროს“.

მოსმენის ადგილი შეიძლება სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, თარხნიშვილის ქ. № 2.

მოქალაქეთა საყურადღებოდ

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის № 14 სავალდებულო გადწყვეტილების მე-10 პუნქტის (1950 წ. გამოცემული სავალდებულო გადწყვეტილებათა კრებული) თანახმად, აკრძალულია ქუჩებზე, შესახვევებში, ტროტუარებზე, მოედნებზე, ბულვარებში, ბაღებსა და საზოგადოებრივ სარგებლობის სხვა ადგილებში ყოველგვარი ნაგავის, პაპიროსის ნამწვის, ხილის ნაფცქვნის, თხილის ნაჭუჭის, პაპიროსის ლოლოფის, ქაღალდის და სხვათა დაყრა.

გადაწყვეტილების ამ პუნქტის დამრღვევი პირები ადგილზე გადაიხდიან ჯარიმას 10-დან 30 მანეთამდე.

შემნახველ სალაროებში შეტანილი ანაბრები ხელს უწყობენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას

1956 წლის 2 აპრილს ქ. სტალინირში გაიმართება საქართველოს სსრ შემნახველ სალაროებში შეტანილი მომგებიანი ანაბრების მოგებათა მორიგი 27-ე ტირაჟი.

ყოველ ათას ანგარიშზე ტირაჟში გათამაშებული იქნება 25 მოგება, მათ შორის:

ერთი მოგება ანაბრის გასული ნახევარი წლის საშუალო ნაშთის 200 პროცენტის ოდენობით, ორი მოგება თითო 100 პროცენტის ოდენობით, ორი მოგება თითო 50 პროცენტის ოდენობით და ოცი მოგება თითო 25 პროცენტის ოდენობით.

რაც უფრო მეტია ანაბრის თანხა და რაც უფრო დიდხანს ინახება იგი შემნახველ სალაროში, მით უფრო მეტია მოგების თანხა.

მომგებიანი ანაბრების ანგარიშები, რომლებიც დაიხურება ტირაჟის ჩატარებამდე, მოგებათა ტირაჟში არ მონაწილეობენ.

ფულს მომგებიან ანაბრებზე ჩასარიცხავად იღებს ყველა შემნახველი სალარო.

ყოველ მოქალაქეს შეუძლია იქონიოს ერთ ან რამდენიმე შემნახველ სალაროში მომგებიანი ანაბრების ანგარიშების განუსაზღვრელი რაოდენობა.

სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისათვის მინდობილი ფულადი თანხებისა და ფასეულობათა დაცულობა უზრუნველყოფილია სსრ კავშირის მთავრობის მიერ.

ცნობებს მეანაბრეების, მათ მიერ შესრულებული ოპერაციებისა და ანაბრების ანგარიშების მდგომარეობის შესახებ შემნახველი სალაროები საიდუმლოდ ინახავენ.

შეიტანეთ ფული მომგებიან ანაბრებზე შემნახველ სალაროებში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის განყოფილების 3 უფროსი მეცნიერი თანამშრომლის, ეთნოგრაფიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლის (1/2 საშტატო ერთეული) და წყაროთა პუბლიკაციის კომისიის 1 უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობებზე.

მსურველებმა დირექტორის სახელზე უნდა შემოიტანონ განცხადება და 3 ცალად წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: ავტობიოგრაფია, პარტიული და სამსახურებრივი დახასიათება. კადრების აღრიცხვის ფურცელი, სამეცნიერო შრომების სია, სამეცნიერო შრომების ჯრცელი დახასიათება, შედგენილი სათანადო დარგის წამყვანი სპეციალისტების მიერ. ფოტოსურათი. დიპლომის, აგრეთვე სამეცნიერო ხარისხის და წოდების მინიჭების საბუთების ასლები.

კონკურსის ვადა ორი კვირა დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა. მისამართი: ძერჟინსკის ქ. № 8, ტელეფონი № 3-06-82.

დღეს
თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — მშვიდობისათვის, რუსთაველის სახელობის — ტარიელ გოლუა, მარჯანიშვილის სახელობის — პიგმალიონი, გრიბოედოვის სახელობის — უბედური შემთხვევა, სომხური დრამის — სამეული, მუსიკალური კომედიის — ჩვენი ნაცნობები, მოზარდ მაყურებელთა ქართული — კოქლი მეწისქვილე (აბონემენტი № 16, 5 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუხული — ჩვენი ქალიშვილი (8 ს. და 30 წ.), თოჯინების ქართული — ბურატინოს თავგადასავალი (10 ს.).

თბილისის სახელმწიფო ცირკი

დღეს

ახალი პროგრამა

გასტროლები ლილიპუტების

უდიდესი მუსიკალური ატრაქციონისა **„ჯადოსნური სიზმრების ღამე“**

მხატვრული ხელმძღვანელი მ. ს. კაჩურინერი. ახალი საცირკო პროგრამა 3 განყოფილებად ახლად ჩამოსული მსახიობების მონაწილეობით.

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

კვირაობით დღის ორი საბავშვო წარმოდგენა

დასაწყისი I — 12 ს., II — 3 ს.

ბილეთები იყიდება სახცირკის სალაროებში და ცენტრალურ თეატრალურ სალაროში, პლეხანოვის პროსპ. № 118. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილება

სტუდენტთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ ქუთაისში, პედინსტიტუტის შენობაში (ციოროვის ქ. № 55) 18 მარტს, 8, 22 აპრილს, 6, 20 მაისს და 10 ივნისს იწარმოებს **კონსულტაციები** და **ჩათვლა-გამოცდები ჩაუბარებელ საგნებში.**

კონსულტაციებზე ქ. ქუთაისში, ქუთაისის, წყალტუბოს, წულუკიძის, ტყიბულის, მაიაკოვსკის და თერჯოლის რაიონებში მცხოვრებ სტუდენტთა გამოცხადება სავალდებულოა. იწარმოებს აღრიცხვა.

მარტში მოსწავლეთა არდადეგების პერიოდში კონსულტაციების მიღება შეესაძლებელი იქნება ყოველდღე და ყველა საგანში.

ხახე ყუბანეიშვილი ოჯახით, მარო და ტასო ციციშვილები იუწყებიან რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ელო ანდრონიკაშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 15-III, 5 ს. ხელოვნების მუშაკთა სახლიდან, მიხარაძის ქ. № 8.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ... **ელენა ანდრონიკაშვილის** ... **ბაბალეთის** ... **№ 4 (ვაკე).**

ეფრემ ... ონიაშვილი ... **№ 11.**

ალ. ჭავჭავაძის ქ. № 11.

№ 8.

№ 8.

УЕ 00668 ბოლგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.